თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17

2018 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი №1 დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თიღვის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №14 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 29/12/2017; 190020020.35.145.016144).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **რევაზ ჭავჭავაძე**

დანართი

თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

თავი I

თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	**1,417.0**	**1,576.7**	**180.0**	**1,396.7**	**1,573.5**	**1,566.0**	**7.5**
გრანტები	1,410.9	1,565.9	180.0	1,385.9	1,566.0	1,566.0	0.0
სხვა შემოსავლები	6.1	10.8	0.0	10.8	7.5	0.0	7.5
ხარჯები	**1,333.3**	**1,642.6**	**180.0**	**1,462.6**	**1,519.5**	**1,512.0**	**7.5**
შრომის ანაზღაურება	729.3	721.4	30.0	691.4	721.4	721.4	0.0
საქონელი და მომსახურება	113.9	173.4	0.0	173.4	172.4	172.4	0.0
სუბსიდიები	230.0	283.6	0.0	283.6	283.7	283.7	0.0

სოციალური უზრუნველყოფა	83.4	124.3	113.3	11.0	133.5	133.5	0.0
სხვა ხარჯები	176.7	340.0	36.7	303.3	208.5	201.0	7.5
საოპერაციო სალდო	**83.7**	**-66.0**	**0.0**	**-65.9**	**54.0**	**54.0**	**0.0**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**4.4**	**35.7**	**0.0**	**35.7**	**54.0**	**54.0**	**0.0**
ზრდა	4.4	35.7	0.0	35.7	54.0	54.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მთლიანი სალდო	**79.2**	**-101.6**	**0.0**	**-101.6**	**0.0**	**0.0**	**0.0**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**79.2**	**-101.6**	**0.0**	**-101.6**	**0.0**	**0.0**	**0.0**
ზრდა	79.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	79.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	101.6	0.0	101.6	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	101.6	0.0	101.6	0.0	0.0	0.0
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

მუხლი 2. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

№	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	**შემოსულობები**	**1,417.0**	**1,576.7**	**180.0**	**1,396.7**	**1,573.5**	**1,566.0**	**7.5**
	შემოსავლები	1,417.0	1,576.7	180.0	1,396.7	1,573.5	1,566.0	7.5
	არაფინანსური აქტივების კლება	3.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
2	**გადასახდელები**	**1,337.7**	**1,678.3**	**180.0**	**1,498.3**	**1,573.5**	**1,566.0**	**7.5**
	ხარჯები	1,333.3	1,642.6	180.0	1,462.6	1,519.5	1,512.0	7.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.4	35.7	0.0	35.7	54.0	54.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
3	**ნაშთის ცვლილება**	**79.2**	**-101.6**	**0.0**	**-101.6**	**0.0**	**0.0**	**0.0**

თავი II
თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 1 573.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

შემოს. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	**შემოსავლები**	**1,417.0**	**1,573.0**	**180.0**	**1,393.0**	**1,573.5**	**1,566.0**	**7.5**
13	გრანტები	1,410.9	1,565.9	180.0	1,385.9	1,566.0	1,566.0	0.0
14	სხვა შემოსავლები	6.1	7.1	0.0	7.1	7.5	0.0	7.5

მუხლი 4. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახადები 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 5. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გრანტები 1 566.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

შემოსულობების კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
13	**გრანტები**	**1,410.9**	**1,565.9**	**1,566.0**
133	**სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები**	**1,410.9**	**1,565.9**	**1,566.0**
1331	გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	1,410.9	1,565.9	1,566.0
13311	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	1,410.9	1,565.9	1,566.0
133111	მიმდინარე	1,410.9	1,565.9	1,566.0
1331111	გათანაბრებითი ტრანსფერი	1,385.9	1,385.9	0.0
1331112	მიზნობრივი ტრანსფერი	25.0	30.0	30.0
1331113	სპეციალური ტრანსფერი	0.0	150.0	1,536.0
1331114	სხვა	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 7.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

შემოსულობების კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
14	**სხვა შემოსავლები**	**6.1**	**10.8**	**7.5**
141	**შემოსავლები საკუთრებიდან**	**6.1**	**7.1**	**7.5**
1411	პროცენტები	6.1	7.1	7.5
14115	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	6.1	7.1	7.5
145	**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები**	**0.0**	**3.7**	**0.0**
	შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო			

14511	დაკისრებული პირგასამტეხლოდან	0.0	3.7	0.0

თავი III
თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები 1 519.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	**1,333.3**	**1,642.6**	**180.0**	**1,462.6**	**1,519.5**	**1,512.0**	**7.5**
შრომის ანაზღაურება	729.3	721.4	30.0	691.4	721.4	721.4	0.0
საქონელი და მომსახურება	113.9	173.4	0.0	173.4	172.4	172.4	0.0
სუბსიდიები	230.0	283.6	0.0	283.6	283.7	283.7	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	83.4	124.3	113.3	11.0	133.5	133.5	0.0
სხვა ხარჯები	176.7	340.0	36.7	303.3	208.5	201.0	7.5

მუხლი 8. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 54.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 54.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	0.0	0.8	1.0
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	3.5	34.4	53.0
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	0.9	0.0	0.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	0.0	0.5	0.0
05 02 01	კულტურული დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა	0.0	0.5	0.0
სულ არაფინანსური აქტივების ზრდა		**4.4**	**35.7**	**54.0**

ბ) განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

შემოსულობების კოდი	დასახელება	2017 ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი

31	არაფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0
311	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0

მუხლი 9. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
701	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**798.0**	**884.3**	**898.6**
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	798.0	884.3	898.6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	798.0	873.2	891.1
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	11.1	7.5
702	**თავდაცვა**	**45.4**	**49.3**	**49.4**
706	**საბინაო-კომუნალური მეურნეობა**	**24.2**	**180.5**	**120.0**
7061	ბინათმშენებლობა	0.0	16.8	1.0
7063	წყალმომარაგება	19.4	14.7	15.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	4.8	149.0	104.0
708	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**139.1**	**177.4**	**177.2**
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	53.8	67.4	67.4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	85.3	110.0	109.8
709	**განათლება**	**93.9**	**109.8**	**109.8**
7091	სკოლამდელი აღზრდა	93.9	109.8	109.8
710	**სოციალური დაცვა**	**237.1**	**277.1**	**218.5**
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	43.0	39.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	0.0	35.0	31.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	8.0	8.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	26.2	28.8	30.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	169.6	180.8	123.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	41.3	24.5	26.5
სულ		**1,337.7**	**1,678.4**	**1,573.5**

თავი IV

თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო თანდართული რედაქციის შესაბამისად:

ათასი ლარი

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	83.7	-66.0	54.0
მთლიანი სალდო	79.2	-101.6	0.0

მუხლი 11. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ზრდა	79.2	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	79.2	0.0	0.0

3. განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების კლება	0.0	101.6	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	101.6	0.0

მუხლი 12. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

თავი V

თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 13. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და შემდგომი დონეები), შემდეგი რედაქციით:

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება(პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის თიღვის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა მობილიზება და მათი გაწვევის პუნქტამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება თიღვის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის თიღვის მუნიციპალიტეტში ახორციელებს წვევამდელთა მობილიზებას და უზრუნველყოფს გაწვევის პუნქტამდე მათ ტრანსპორტირებას.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

თიღვის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება, იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში საცხოვრებელი სახლების იატაკების რეაბილიტაცია, სამეურნეო დანიშნულების სათავსოების მოწყობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვისა და სხვა კომუნალური ინფრასტრუქტული სამუშაოები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება(პროგრამული კოდი 03 01)

თიღვის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კომუნალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დევნილთა ჩასახლებებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, საცხოვრებელი ბინების სახურავების რეაბილიტაცია, დაგეგმილია სამეურნეო დანიშნულების სათავსოების მოწყობა, საცხოვრებელ ბინებში იატაკის შეცვლა, აგრეთვე მუნიციპალიტეტი შეძლებისდაგვარად დაეხმარება იმ დევნილ მოსახლეებას, რომელთა ჩასახლებებიც გაზიფიცირებულია, თუმცა უსახსრობის გამო ვერ ხერხდება ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების (აბონენტად აყვანა) სამუშაოები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თიღვის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დევნილების საყოფაცხოვრებო პირობებს.

2.1.1. იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში საცხოვრებელი ბინების სახურავების რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ:

- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წინამძღვრიანთკარის ყოფილი ტელევიზიის II კორპუსის დაზიანებული სახურავის შეკეთების სამუშაოები;
- ქ. ხაშურის დევნილთა ჩასახლებაში (მის: ბორჯომის ქუჩა №50) მდებარე კორპუსის დაზიანებული სახურავის შეკეთების სამუშაოები.

2.1.2. იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის სხვადასხვა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ:

- ქ. ქარელში, ყოფილი ელექტრო-მექანიკური ტექნიკუმის დევნილთა დასახლებაში (მის: ახალგაზრდობის ქუჩა №5) მდებარე II კორპუსის კედლების გალესვის სამუშაოები.
- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წინამძღვრიანთკარის ყოფილი ტელევიზიის I კორპუსის დაზიანებული საყრდენი კედლის გამაგრების სამუშაოები;
- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წინამძღვრიანთკარის დევნილთა ჩასახლებაში (ტექნიკუმის ჩასახლება) იატაკების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. გორში, კარალეთის დევნილთა ჩასახლებაში იატაკების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ბრეთის მეურნეობის დევნილთა ჩასახლებაში ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების (აბონენტად აყვანა) სამუშაოები;
- ქ. ქარელში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №117-ში მდებარე II კორპუსის ფანჯრების გამოცვლის სამუშაოები;
- კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. თელიანის დევნილთა ჩასახლებაში იატაკების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.1.2. წყლის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებულ კომპაქტურ დასახლებებში წყლის საქაჩი ტუმბოების დამონტაჟება და სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია. აგრეთვე კომპაქტურ დასახლებებში დევნილი მოსახლეობის კანალიზაციის გარე გაყვანილობის ქსელის მოწყობითი სამუშაოები.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

თიღვის მუნიციპალიტეტი მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დიდ ყურადღებას ანიჭებს სკოლამდელ აღზრდას. მუნიციპალიტეტი განაგრძობს საგანმანათლებლო ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ბავშვებმა შეძლონ საფუძვლის შექმნა მათი შემდგომი განვითარებისათვის.

3.1. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

თიღვის მუნიციპალიტეტის დევნილთა ჩასახლებაში ფუნქციონირებს ორი საბავშვო ბაღი. სოფელ მოხისის საბავშვო ბაღი და სოფელ ახალსოფლის საბავშვო ბაღი, სადაც არის 40 აღსაზრდელი. ამ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებას, აგრეთვე უზრუნველყოფს მას საჭირო ინვენტარით.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მის ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშო პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. აგრეთვე გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

4.1.1.სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება თიღვის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს – 55 სპორტსმენს, აქედან, 3 - სექცია არის ფეხბურთის, სადაც ვარჯიშობს 35 ბავშვი, 1-ჭიდაობის, სადაც ვარჯიშობს – 20 ბავშვი.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

თიღვის მუნიციპალიტეტი აქტიურად უწყობს ხელს კულტურის განვითარებას, ტრადიციების დაცვას და მის ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელისშეწყობა და მათში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

4.2.1. კულტურული დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტის კულტურული დაწესებულებების გაერთიანება მოიცავს კლუბებს და ბიბლიოთეკებს, აგრეთვე გამოდის ჟურნალი ფრონის ხეობა. ცეკვის ანსამბლ ,,ფრონე''-სათვის მოხდება ცეკვის ფორმების შეძენა. სოფ. მოხისსა და ახალსოფლის დევნილთა ჩასახლების კლუბები უზრუნველყოფილი იქნება ინტერნეტით და მასთან დაკავშირებული ხარჯებით.

4.2.2. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა ექსკურსიები, გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.1.1. გარდაცვლილ ვეტერანთა და დევნილთა სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამა უზრუნველყოფს იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებას და ომში მონაწილე ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების ანაზრაურებას, თითოეულ ბენეფიციარზე – 500 ლარის ოდენობით.

5.1.2. ერთჯერადი დახმარება ყოველ ახალშობილზე (პროგრამული კოდი 06 01 03)

ქვეპროგრამის მიზანია, ახალშობილთა პირველადი სოციალური დახმარება. დახმარების მოცულობა ყოველ ახალშობილზე შეადგენს - 500 ლარს.

5.1.3. 80 წლის და 80 წელს გადაცილებული მოხუცების დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიღვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები დევნილი 80 წლის და 80 წელს ზემოთ ასაკის პირთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, პროგრამის ბენეფიციარებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების მოცულობა შეადგენს - 200 ლარს.

5.1.4. ავადმყოფთა ერთჯერადი სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 05)

იმ მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ თიღვის მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ნაწილობრივ დაუფინანსდებათ გეგმური და ურგენტული ოპერაციები. დახმარების ოდენობა განისაზღვრება სოციალური დახმარების გაცემის სამუშაო ჯგუფის მიერ მოქალაქის ფაქტობრივად გადახდილი თანხის სრული ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა.

5.1.5. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერად 200 ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ იძულებით გადაადგილებული ოჯახები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ თიღვის მუნიციპალიტეტში და ჰყავთ 4 და მეტი შვილი (აქედან ერთი მაინც 18 წლამდე).

5.1.6. ონკოლოგიურ ავადმყოფთა ერთჯერადი სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში თიღვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები დევნილი

ონკოლოგიური ავადმყოფები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღებენ ერთჯერად სოციალურ დახმარებას, 500 ლარის ოდენობით.

5.1.7. მარტოხელა მშობლების ერთჯერადი სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში თიღვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი მარტოხელა მშობლები (მარტოხელა დედა ან მარტოხელა მამა) მარტოხელა მშობლის სტატუსის წარმოდგენის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღებენ ერთჯერად სოციალურ დახმარებას, 200 ლარის ოდენობით.

5.1.8. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში თიღვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი I ჯგუფის ინვალიდები და 0-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღებენ ერთჯერად სოციალურ დახმარებას, 200 ლარის ოდენობით.

5.1.9. დევნილი ოჯახების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 12)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიღვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესებას სხვადასხვა სახის სოციალური დახმარების გაწევით, კერძოდ:

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს თიღვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი ოჯახებისთვის სასურსათო დახმარების გაწევას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების შესაბამისად:

- თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სასურსათო დახმარებას მიიღებენ დევნილთა ოჯახები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ თიღვის მუნიციპალიტეტში;
- სასურსათო დახმარების მოცულობას განსაზღვრავს გამგებლის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;
- გადასაცემი დახმარების მოცულობა თითოეული ოჯახისათვის განისაზღვრება თანაბარი ოდენობით;

დახმარება გაეწევათ სასურსათო კალათის ადგილზე მიტანით კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ ოჯახებს, ხოლო არაკომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ ოჯახებს თიღვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სურსათის დასაწყობებულ ადგილას.

თავი VI
თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით,თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	თიღვის მუნიციპალიტეტი	1,337.7	1,678.4	180.0	1,498.3	1,573.5	1,566.0	7.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	58.0	58.0	0.0	58.0	58.0	0.0	58.0
	ხარჯები	1,333.3	1,642.7	180.0	1,462.6	1,519.5	1,512.0	7.5
	შრომის ანაზღაურება	729.3	721.4	30.0	691.4	721.4	721.4	0.0
	საქონელი და მომსახურება	113.9	173.4	0.0	173.4	172.4	172.4	0.0
	სუბსიდიები	230.0	283.6	0.0	283.6	283.7	283.7	0.0

	სოციალური უზრუნველყოფა	83.4	124.3	113.3	11.0	133.5	133.5	0.0
	სხვა ხარჯები	176.7	340.0	36.7	303.3	208.5	201.0	7.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.4	35.7	0.0	35.7	54.0	54.0	0.0
	ძირითადი აქტივები	4.4	35.7	0.0	35.7	54.0	54.0	0.0
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	798.0	884.3	0.0	884.3	898.6	891.1	7.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	53.0	53.0	0.0	53.0	53.0	0.0	53.0
	ხარჯები	794.5	849.1	0.0	849.1	844.6	837.1	7.5
	შრომის ანაზღაურება	684.7	673.4	0.0	673.4	673.4	673.4	0.0
	საქონელი და მომსახურება	101.9	154.4	0.0	154.4	152.7	152.7	0.0
	სხვა ხარჯები	7.8	21.4	0.0	21.4	18.5	11.0	7.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.5	35.2	0.0	35.2	54.0	54.0	0.0
	ძირითადი აქტივები	3.5	35.2	0.0	35.2	54.0	54.0	0.0
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	295.5	297.6	0.0	297.6	290.1	290.1	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	14.0	14.0		14.0	14.0		14.0
	ხარჯები	295.5	296.8	0.0	296.8	289.1	289.1	0.0
	შრომის ანაზღაურება	238.8	220.2	0.0	220.2	220.2	220.2	0.0
	საქონელი და მომსახურება	49.2	67.0	0.0	67.0	58.6	58.6	0.0
	სხვა ხარჯები	7.4	9.6	0.0	9.6	10.3	10.3	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.8	0.0	0.8	1.0	1.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.8	0.0	0.8	1.0	1.0	0.0
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	502.6	575.6	0.0	575.6	601.0	601.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	39.0	39.0		39.0	39.0		39.0
	ხარჯები	499.0	541.3	0.0	541.3	548.0	548.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	445.9	453.2	0.0	453.2	453.2	453.2	0.0
	საქონელი და მომსახურება	52.7	87.4	0.0	87.4	94.1	94.1	0.0

	სხვა ხარჯები	0.4	0.7	0.0	0.7	0.7	0.7	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.5	34.3	0.0	34.3	53.0	53.0	0.0
	ძირითადი აქტივები	3.5	34.3	0.0	34.3	53.0	53.0	0.0
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	11.1	0.0	11.1	7.5	0.0	7.5
	ხარჯები	0.0	11.1	0.0	11.1	7.5	0.0	7.5
	სხვა ხარჯები	0.0	11.1	0.0	11.1	7.5	0.0	7.5
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	45.4	49.3	30.0	19.3	49.4	49.4	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	5.0	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0
	ხარჯები	45.4	49.3	30.0	19.3	49.4	49.4	0.0
	შრომის ანაზღაურება	44.6	48.0	30.0	18.0	48.0	48.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	0.8	1.3	0.0	1.3	1.4	1.4	0.0
02 01	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	45.4	49.3	30.0	19.3	49.4	49.4	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	5.0	5.0		5.0	5.0		5.0
	ხარჯები	45.4	49.3	30.0	19.3	49.4	49.4	0.0
	შრომის ანაზღაურება	44.6	48.0	30.0	18.0	48.0	48.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	0.8	1.3	0.0	1.3	1.4	1.4	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	24.2	180.5	0.0	180.5	120.0	120.0	0.0
	ხარჯები	24.2	180.5	0.0	180.5	120.0	120.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	9.0	14.7	0.0	14.7	15.0	15.0	0.0
	სხვა ხარჯები	15.2	165.8	0.0	165.8	105.0	105.0	0.0
03 01	კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	24.2	180.5	0.0	180.5	120.0	120.0	0.0
	ხარჯები	24.2	180.5	0.0	180.5	120.0	120.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	9.0	14.7	0.0	14.7	15.0	15.0	0.0
	სხვა ხარჯები	15.2	165.8	0.0	165.8	105.0	105.0	0.0

03 01 02	იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში საცხოვრებელი ბინების სახურავების რეაბილიტაციის ღონისძიებები	0.0	16.8	0.0	16.8	1.0	1.0	0.0
	ხარჯები	0.0	16.8	0.0	16.8	1.0	1.0	0.0
	სხვა ხარჯები	0.0	16.8	0.0	16.8	1.0	1.0	0.0
03 01 04	იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის სხვადასხვა ღონისძიებები	4.8	149.0	0.0	149.0	104.0	104.0	0.0
	ხარჯები	4.8	149.0	0.0	149.0	104.0	104.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	1.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	3.7	149.0	0.0	149.0	104.0	104.0	0.0
03 01 05	წყლის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	19.4	14.7	0.0	14.7	15.0	15.0	0.0
	ხარჯები	19.4	14.7	0.0	14.7	15.0	15.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	8.0	14.7	0.0	14.7	15.0	15.0	0.0
	სხვა ხარჯები	11.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 00	განათლება	93.9	109.8	0.0	109.8	109.8	109.8	0.0
	ხარჯები	93.0	109.8	0.0	109.8	109.8	109.8	0.0
	სუბსიდიები	93.0	109.8	0.0	109.8	109.8	109.8	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	93.9	109.8	0.0	109.8	109.8	109.8	0.0
	ხარჯები	93.0	109.8	0.0	109.8	109.8	109.8	0.0
	სუბსიდიები	93.0	109.8		109.8	109.8	109.8	

	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	139.1	177.4	0.0	177.4	177.2	177.2	0.0
	ხარჯები	139.1	176.8	0.0	176.8	177.2	177.2	0.0
	საქონელი და მომსახურება	2.2	3.0	0.0	3.0	3.3	3.3	0.0
	სუბსიდიები	137.0	173.8	0.0	173.8	173.9	173.9	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	53.8	67.4	0.0	67.4	67.4	67.4	0.0
	ხარჯები	53.8	67.4	0.0	67.4	67.4	67.4	0.0
	სუბსიდიები	53.8	67.4	0.0	67.4	67.4	67.4	0.0
05 01 01	სპორტული სკოლების ხელშეწყობა	53.8	67.4	0.0	67.4	67.4	67.4	0.0
	ხარჯები	53.8	67.4	0.0	67.4	67.4	67.4	0.0
	სუბსიდიები	53.8	67.4		67.4	67.4	67.4	
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	85.3	110.0	0.0	110.0	109.8	109.8	0.0
	ხარჯები	85.3	109.4	0.0	109.4	109.8	109.8	0.0
	საქონელი და მომსახურება	2.2	3.0	0.0	3.0	3.3	3.3	0.0
	სუბსიდიები	83.1	106.4	0.0	106.4	106.5	106.5	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
05 02 01	კულტურული დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა	83.1	107.0	0.0	107.0	106.5	106.5	0.0
	ხარჯები	83.1	106.4	0.0	106.4	106.5	106.5	0.0
	სუბსიდიები	83.1	106.4		106.4	106.5	106.5	

	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
05 02 02	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2.2	3.0	0.0	3.0	3.3	3.3	0.0
	ხარჯები	2.2	3.0	0.0	3.0	3.3	3.3	0.0
	საქონელი და მომსახურება	2.2	3.0	0.0	3.0	3.3	3.3	0.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	237.1	277.1	150.0	127.1	218.5	218.5	0.0
	ხარჯები	237.1	277.1	150.0	127.1	218.5	218.5	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	83.4	124.3	113.3	11.0	133.5	133.5	0.0
	სხვა ხარჯები	153.7	152.8	36.7	116.1	85.0	85.0	0.0
06 01	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	237.1	277.1	150.0	127.1	218.5	218.5	0.0
	ხარჯები	237.1	277.1	150.0	127.1	218.5	218.5	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	83.4	124.3	113.3	11.0	133.5	133.5	0.0
	სხვა ხარჯები	153.7	152.8	36.7	116.1	85.0	85.0	0.0
06 01 01	გარდაცვლილ ვეტერანთა და დევნილთა სარიტუალო მომსახურება	25.5	24.5	24.5	0.0	26.5	26.5	0.0
	ხარჯები	25.5	24.5	24.5	0.0	26.5	26.5	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	25.5	24.5	24.5	0.0	26.5	26.5	0.0
06 01 02	ერთჯერადი ფულადი დახმარება კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრები დევნილთა ოჯახების ზამთრის სეზონისათვის სათბობი შეშის შესაძენად	15.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	15.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური							

	უზრუნველყოფა	15.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 01 03	ერთჯერადი დახმარება ყოველ ახალშობილზე	15.9	18.0	18.0	0.0	28.0	28.0	0.0
	ხარჯები	15.9	18.0	18.0	0.0	28.0	28.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	15.9	18.0	18.0	0.0	28.0	28.0	0.0
06 01 04	80 წლის და 80 წელს გადაცილებული მოხუცების დახმარება	26.2	28.8	28.8	0.0	30.0	30.0	0.0
	ხარჯები	26.2	28.8	28.8	0.0	30.0	30.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	26.2	28.8	28.8	0.0	30.0	30.0	0.0
06 01 05	ავადმყოფთა ერთჯერადი სოციალური დახმარება	0.0	20.0	20.0	0.0	18.0	18.0	0.0
	ხარჯები	0.0	20.0	20.0	0.0	18.0	18.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	20.0	20.0	0.0	18.0	18.0	0.0
06 01 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	0.0	7.0	7.0	0.0	7.0	7.0	0.0
	ხარჯები	0.0	7.0	7.0	0.0	7.0	7.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	7.0	7.0	0.0	7.0	7.0	0.0
06 01 07	ონკოლოგიურ ავადმყოფთა ერთჯერადი სოციალური დახმარება	0.0	15.0	15.0	0.0	13.0	13.0	0.0
	ხარჯები	0.0	15.0	15.0	0.0	13.0	13.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	15.0	15.0	0.0	13.0	13.0	0.0
06 01 08	მარტოხელა მშობლების ერთჯერადი სოციალური დახმარება	0.0	3.0	0.0	3.0	3.0	3.0	0.0
	ხარჯები	0.0	3.0	0.0	3.0	3.0	3.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	3.0	0.0	3.0	3.0	3.0	0.0
06 01 09	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარება	0.0	8.0	0.0	8.0	8.0	8.0	0.0
	ხარჯები	0.0	8.0	0.0	8.0	8.0	8.0	0.0

	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	8.0	0.0	8.0	8.0	8.0	0.0
06 01 12	დევნილი ოჯახების სოციალური დახმარება	153.7	152.8	36.7	116.1	85.0	85.0	0.0
	ხარჯები	153.7	152.8	36.7	116.1	85.0	85.0	0.0
	სხვა ხარჯები	153.7	152.8	36.7	116.1	85.0	85.0	0.0

თავი VII
მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 15

თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 16

თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ და თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 17

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 82-ე მუხლის თანახმად თიღვის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა მოამზადოს თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 18

2019 წლის განმავლობაში თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე ფულადი ჯილდო და დანამატი გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 19

დაუშვებელია, იმ პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსება, რომლებზეც 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით ასიგნებები არ არის გათვალისწინებული. საჭიროების შემთხვევაში ამ პროგრამებში ასიგნებების გადატანას და მათ ამოქმედებას ამტკიცებს თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია მიზნობრივი ასიგნებები.

მუხლი 20

1. გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეული - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მუნიციპალიტეტის გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე;

2. მუნიციპალიტეტის გამგებელი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა განისაზღვროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 22

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება გაგრძელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ასიგნებების (პროგრამული კოდი – 01 01) საბიუჯეტო კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შესაბამისად და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიურ რაოდენობაში არ ითვლება სამსახურებრივი მივლინების ხარჯები.

მუხლი 23

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტებისა და საშტატო ნუსხების დამტკიცება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 24. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

1. საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 67-ე მუხლის თანახმად, თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 7.5 ათასი ლარის ოდენობით;

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, სარეზერვო ფონდიდან თანხას გამოყოფს გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეული – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, გამგებლის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ.

მუხლი 25. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან თიღვის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი – 30.0 ათასი ლარი, მიიმართოს: „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

მუხლი 26. საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის გამოყოფილ იქნეს 7.3 ათასი ლარი.

მუხლი 27. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.